სახელი: სანდრო გვარი: წიკლაური ასაკი: 14
სკოლის დასახელება: 195 საჯარო სკოლა კლასი: 10ბ

ურთიერთგამგები საზოგადოება

სხვადასხვა რელიგიის, ტრადიციის და წარმოშობის მქონე ადამიანებს განსხვავებული შეხედულებები აქვთ. მათ ხშირად ერთმანეთის მიუღებლობა ახასიათებთ, რაც სიტყვიერი და ხშირად ფიზიკური დაპირისპირების მიზეზიც კი ხდება. სხვადასხვა ეროვნების თუ რელიგიის მქონე ადამიანებს შორის ურთიერთგაუგებრობაა. ეს არის ერთერთი გლობალური პრობლემა დღესდღეობით. ადამიანებს უნდა შეეძლოთ ერთმანეთის მოსმენა და ერთმანეთის აზრის პატივისცემა. ჩვენი მიზანია, შევქმნათ დემოკრატიული საზოგადოება, სადაც ყველას აზრი იქნება გათვალისწინებული და ყველა თანასწორი იქნება. ეს პრობლემა კაცობრიობის ისტორიაში მუდმივად არსებობდა. პრეისტოიული ადამიანები გადარჩენაზე ფიქრობდნენ და მათ შორის დავის მიზეზი მარტო საკვების განაწილება იყო. საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა მეცნიერება, ცვლილებები განიცადა კულტურამ და რელიგიამაც. მეცნიერების განვითარებამ გაუფართოვა ადამიანებს თვალსაწიერი და, შესაბამისად, გაუჩინა უფრო მეტი საკამათო თემა. არსებობს ორი სახის მეცნიერება _ ზუსტი და არაზუსტი. ზუსტი მეცნიერება არის ნებისმიერი მეცნიერების დარგი, რომელშიც გამოყენებულია ზუსტი ტექნიკა და არსებობს ჰიპოთეზების ტესტირებისა და შედეგების გამეორების ზუსტი საშუალებები. ზუსტი მეცნიერების კარგი მაგალითია მათემატიკა. მათემატიკის სიზუსტის გამო, ხალხს მათემატიკის სფეროში დავა არ მოუვათ. არაზუსტი მეცნიერება კი იყენებს ემპირიული მონაცემების შეგროვების პროცესს, შემდეგ კი საუკეთესო მეთოდებს ინფორმაციის გასაანალიზებლად. შედეგების პროგნოზირება უფრო რთულია. არაზუსტი მეცნიერება ფსევდომეცნიერებას გავს. ფსევდომეცნიერებად შეიძლება ისტორია და თეოლოგია ჩაითვალოს. რელიგიები, რომლებსაც თეოლოგია შეისწავლის დაფუძვნებულია აღმოჩენილ ისტორიულ წყაროებზე. ერთერთი წყარო წმინდა წიგნებია, როგორიცაა ბიბლია ან ყურანი. ჩვენ არ გვაქვს იმის დასტური, რომ ეს წყაროები ჭეშმარიტ ინფორმაციას გვაწვდიან. შესაძლოა ამ წყაროს ჩვენამდე მოღწევამდე იგი ბევრჯერ გადაიწერა და წლების განმავლობაში რეალური ინფორმაცია დამახინჯდა ან შესაძლოა ამ წყაროს ავტორმა მცდარი

ინფორმაცია დაწერა. შესაბამისად ეს წყაროები ასი პროცენტით სანდო არ არის და შეიძლება არაობიექტურიც კი იყოს. ამიტომაც განსხვავდება რელიგიები და კულტურები ერთმანეთისგან და იმაზე დავა თუ რომელი სარწმუნოებაა ჭეშმარიტი უაზრობაა. თუმცა არიან ადამიანებიც, რომლებიც იძულებენ იმ სარწმუნოებას, რომლის არსიც არ იციან. ისინი პრინციპულად არ ეთანხმებიან რომელიმე კონკრეტული ეროვნების ხალხს. რანაირად შეიძლება იმ რელიგიაზე აზრის გამოტანა, რომლის არსი არც კი იცი? აქ უკვე დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე. მსგავსი კონფლიქტები ორი დიდი ხნის მტერ ქვეყნებს შორის ხდება. ის რელიგია, რომელიც მათ ისტორიულ მტერს ეკუთვნის, სძულდებათ. როდესაც ისინი სხვა ქვეყნებს ხედვავენ იგივე რელიგიით, იმ ქვეყნებზეც იგივე მოსაზრება უჩნდებათ, როდესაც ამ ორ ქვეყანას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ეს სტერეოტიპებია. სტერეოტიპებს ხალხი მათი გამოცდილებიდან გამომდინარე ქმნიან, თუმცა ხშირად მათი გამოცდილება საკმარისი არ არის, რომ რეალური სურათი დაინახონ. სტერეოტიპები მთავარი და ერთერთი ყველაზე დამანგრეველი პრობლემაა საზოგადოებაში. სტერეოტიპები ბევრგვარი არსებობს: რასობრივი, გენდერული, ასაკობრივი და ასე შემდეგ. მათი არსებობა ხელს უშლის ადამანების გაერთიანებას და თუ გვინდა, რომ ურთიერთგამგები საზოგადოება შევქმნათ, პირველ რიგში სტერეოტიპების მოშლით უნდა დავიწყოთ. ადამიანებს შორის კონტაქტი დავამკვიდროთ და დავაფიქროთ. როგორც უკვე ვახსენე, იმაზე დავა თუ რომელი რელიგიაა ჭეშმარიტი სისულელეა და რელიგიაზე დაფუძნებული კანონების მიღება არ იქნება წინდახედული სვლა. თუმცა არსებობენ ქვეყნები, რომლებსაც თავიანი რელიგია კანონებად აქვთ მიღებული. ერთერთი მათგანია ირანი. ირანში აკრძალულია რელიგიის შეცვლა ან უარყოფა და სიკვდილით ისჯება ის პირი ვინც ირანში სარწმუნოებას შეიცვლის. ასეთი აკრძალვებით და სხვა მრწამსის დისკრიმინაციით ვერ ჩამოყალიბდება ერთიანი დემოკრატიული საზოგადოება. ერთიანი საზოგადოების შესაქმნელად საჭიროა იყოს დემოკრატია და თავისუფალი აზრის გამოხტვის საშუალება, როგორც დანიაში, ნორვეგიაში და შვედეთში. ეს ჩამოთვლილი ქვეყნები გამოირჩევა ტოლერანტულობით. სწორედ ამიტომ, რელიგიურ მრწამსს არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური სახე, იგი მარტო იდეის დონეზე უნდა იყოს. და როგორც იდეა შეგვიძლია შევაფასოთ, გამოვთქვათ მასზე აზრი და განვავითაროთ, ისე რელიგიურ რწმენაზეც უნდა შეგვეძლოს. ერთმანეთის მოსმენით და აზრების გაზიარებით შეგვეძლება განვითარება და შესაძლოა ჭეშმარიტ, კოლექტიურ არჩევნამდე მისვლაც. ასე შევქმნით დემოკრატიულ და მშვიდობიან საზოგადოებას.